F2747 ∞ 13829

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა.

„პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი

№ 14. 10 (23) ნოემბერი 1904 წ. № 14.

ბაქო.

ბაქოში თერძების 600 კაცამდე იქნება. ყველა ესენი მუშაობენ სახელოსნოებში; დიდი სახელოსნოები აქ არ არის; საშუალო სახელოსნოები ათამდეა, მხოლოდ ხელოსნების უმეტესობა წვრილ სახელოსნოებში მუშაობს. საშუალო სახელოსნოები უკეთ არის მოწყობილი: ბინები შედარებით სრულია; ზოგან ელექტრონით განათებულიც შეგხვდებათ და უთოების გასახურებლათ-კი ცალკე ბინებია; ამას მუშებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სიწმინდის-კი რა მოგახსენოთ: მუდამ ტალახი და ნაგავი! სასანიტარო კომისიას ჯერ არც-კი შეუხედნია ამ ადგილებში. თუ წვრილ სახელოსნოებში, რომელიც „ხაზეინების, ბინებთან ერთათ არის, გარეგნობით მეტი სიწმინდეა, სამაგიეროთ აქ მეტის-მეტი სივიწროვეა, შეხუთული ჰაერი, განათება ისე ცუდია, რომ მუშებს მხედველობა ეკარგებათ; თითქმის ყველგან ნარდათ მუშაობენ. ექვსას კაცში მხოლოდ 50 კაცი იღებს დღიურ ქირას. ამის გამო სამუშაო დღე მეტად გრძელია. ამის მიზეზია ისიც, რომ სახელოსნოები სრულიად მოუწყობელია: მაგალითად უთოები ცოტაა და მუშა იძულებულია იცადოს, სანამ მეორე სამუშაოს გაათავებდეს. ასე ცოტაა მაშინებიც. გარდა იმისა, რომ ამით სამუშაო დღე გრძელდება, მუშებს შორის ხშირი უკმაყოფილებაა და ჯერაც ვერ შეუგნიათ, რომ ყველა ამის მიზეზი „ხაზეინის“ გაუმაძღრობაა.

ქალის ტანისამოსების სახელოსნოებში იშვიათია თანაბარი შეფასება, რადგან მუშაობა ხშირად იცვლება; მამაკაცებისაში თითქმის ერთნაირია, მხოლოდ წელს ომის გამო (სამუშაოს შემცირება) ზოგიერთ სახელოსნოებში შეფასებამ ძალიან იკლო. ძალიან საზიანოა მუშებისათვის ის გარემოება, რომ მათ სამუშაოს დროებითი ხასიათი აქვს.

უმეტესობა სამუშევარს პოულობს მხოლოდ შემოდგომაზე და ზამთარში: პირველი სეზონი იწყება 1 ოქტომბრიდან და თავდება 25 დეკემბერს; მეორე იწყება მარტში და ქალების სახელოსნოებში თავდება სამების დღესასწაულიზე, მხოლოდ კაცებისაში ივლისამდე გრძელდება. ამ ხანებს შუა მუშები სამუშაოს ვერ შოულობენ და მშიერ-მწყურვალი ცუდათ დადიან! ამას სამუშაო დღის მეტ-ნაკლებობაზედაც გავლენა აქვს: მუშა-ხელოსანი, რომელიც ნარდათ არის გარიგებული, სეზონის შემდეგ ხანგრძლივი სიმშილობით გაწვალებული, დაეძგერება ხოლმე დახარბებით სამუშაოს და ორიოდე ზედ-მეტი გროშის ასაღებათ არ იზოგავს თავის ჯანმრთელობას! ამას კიდევ ზედ დაურთეთ საჩქარო „ზაკაზები“, როცა მოუთმენელი ვაჭბატონი უჩქარის სამუშაოს გათავებას, მხოლოდ „ხაზეინი“ მუშტარის გულის მოსაგებათ მთელი დღე-ღამე წელს არ ამართვინებს თავის მუშებს და თქვენ წარმოგიდგებათ საოცარი სურათი!

საზოგადოთ თერძები კულტურულათ ნაკლებ განვითარებულნი არიან. მამაკაცებში ეს ნაკლი უფრო შესამჩნევია. აუტანელი შრომა, ხანგრძლივი უსაქმობა, სიმშილი თავისებურ ბეჭედს ასვამს მათ ტანჯულ ცხოვრებას, რომლის შესამსუბუქებლათ ერთათ-ერთი საშუალება მიუკვლევიათ — არაყი... ქალები ცოტა უფრო შეგნებული არიან. აქ უმეტესათ სომხებია. სამწუხაროთ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია ბევრ დაბრკოლებას ხვდება ამ წრეში, რადგან სომხების სხვა-და-სხვა ნაციონალური ფრაქციები მოქმედებენ...

ამ უკანასკნელ ხანებში ორი გაფიცვა მოხდა: „პარიჟის მაღაზიაში“ და „ეკსელანსთან“. კომიტეტმა სამწუხაროთ ვერ შესძლო ამ საქმეში ჩარევა და მისი სააგიტაციოთ გამოყენება. ამნაირათ გაფიცვა სტიქიური იყო...

✦ ბაქოს სტამბებში სამუშაო დღე საშუალოთ 10 ნახევარ საათს გრძელდება. ხშირათ ზედმეტ დროს, ღამ-ღამეობითაც ამუშავებენ და სამაგიეროთ მეტათ მცირე სამუშაო ქირას აძლევენ. ზოგიერთ სტამბებში დანიშნულ ვადაზე მეტ მუშაობას პირდაპირ აიძულებენ და თუ მუშას არ უნდა მუშაობა დაუყონებლივ უსწორებენ ანგარიშს.

ბინები ვიწროა, ბინძური და უსინათლო. ცუდი განათებისაგან ასოთ-ამწყობებს თვალები უფუჭდებათ. ვენტილაციის ნასახიც არ მოიპოვება და ტყვიის მტვერი ფილტვებს უზიანებს მუშებს და ადრეულათ ხდის ჭლექის მსხვერპლათ.

✦ ნამეტან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან კოლოფებისა და ყდის საკეთებელ სახელოსნოებში მუშები. აქ ექსპლოატაციას საზღვარი არ უდევს. ბინები ნოტიო სარდაფებში აქვთ. საწარმოვო იარაღები ადამის დროის არის — ხელით სამუშაო. უკანასკნელი გარემოება მსხვილ წარმოებასთან კონკურენციას შეუძლებლათ ყოფს და ამიტომ „ხაზეინები“ საჭირო წვენის გამოდენას მარტოოდენ მუშიდან ცდილობენ: სამუშაო დღე მეტათ დიდია, სამუშაო ქირა ძალიან მცირე.

სამუშაო ქირა მსხვილ სახელოსნოებში 35—40 მან. თვეში, წვრილში ბევრათ ნაკლები. მუშებს მეტათ უდიერათ ეპყრობიან.

არა-ლეგალურ ლიტერატურას გატაცებით ეწაფებიან. ახლა ძალიან აინტერესებთ პროკლამაციები ომის შესახებ, რადგან ყველა ამბობს, რომ „გაზეთის ტელეგრამებში სულ სიცრუეს სწერენ, ესენი (ე. ი. სოციალისტები) ყოველთვის მართალს ამბობენ“. უმეტესობა ომის წინააღმდეგია.

✦ ამას წინეთ ასეთი წვრილმანი, მაგრამ საყურადღებო შემთხვევა იყო: ქალაქში გააკრეს პროკლამაცია „სალდათებს“. „შორეულ-აღმოსავლეთში იარაღის რაჩხუნი“... ქვეშ აწერია: ბაქოს კომიტეტი... ერთი ამბობს: „გადავაგდოთ, აღკრძალულია“!.. მეორე უპასუხებს: „სახლში წავიკითხოთო! ალბათ რამე საინტერესო იქნებაო“ და ამ სიტყვებით ჩაიდვა ჩიბეში პროკლამაცია.

ბიბი-ეიბათი. მუხტაროვის სარეწავი. მეტათ მცირე სამუშაო ქირა და გრძელი სამუშაო დღე (14—15 საათი). არც ნახშირი, არც ნავთი მუშებს არ ეძლევათ; გარდა ამისა, საზიზღრათ ეჭცევიან მუშების ცოლებს, დედებს, ქალიშვილებს! ქალები მოდიან ეზოში წყლისათვის, აქ მათ ხვდებიან ჯარის მცველები და შეურაცყოფას აყენებენ. არა ერთხელ მიმართეს მუშებმა „ხაზეინს“ ასეთი საქციელის შესახებ, მაგრამ „ხაზეინმა“ ხან ჩაფუჩეჩება მოინდომა და ლაზღანდარობით უპასუხებ-

და. ბოლოს მუშებმა ველარ მოითმინეს ასეთი თავგასულობა და გაიფიცენ, მოითხოვეს ზრდილობიანი მოპყრობა, ნავთისა და ნახშირის მოცემა. მესამე დღეს, „ხაზეინმა“ თავი ისე მოიკატუნა, თითქო ყველაფერზე თანახმა იყო და მუშაობაც დაიწყო. ნამდვილათ-კი სულ სხვა მოხდა. „ხაზეინმა“ არც ერთი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა და თანვე ერთი მუშაც გამოაგდო. მუშები ხელ-მეორეთ გაიფიცენ და წინანდელ მოთხოვნილებას ახალი დაურთეს: გაგდებული ამხანაგის დაბრუნება. ამ ამბავმა ზავოდში დაუყოვნებლივ კაზაკები გააჩინა; მობრძანდენ პოლიცმეისტერი და ინჟინერი მარკოვსკი. ამ ვაუბატონმა ქადაგება დაუწყო მუშებს და უმტკიცებდა, რომ „ხაზეინს“ უფლება აქვს მუშა დაითხოვოსო... მუშებმა გაფიცვა წააგეს.

თეთრი ქალაქი. „აღმოსავლეთის საზოგადოება“. შარშანდელი გაფიცვების წყალობით მუშებისთვის სამუშაო ქირა თვეში ორჯერ უნდა ეძლიათ. მაგრამ ეს პირობა გულ-უბრყვილო „ხაზეინებს“ დავიწყნიათ და ხშირათ სამუშაო ქირას იძლევიან თვე-ნახევარში ერთხელ!

ნოგბელის ქარხანა. 2 ნოემბერს მექანიკმა ტაუსონმა სამუშაოდან ერთი მუშა დაითხოვა; ეს მუშა ამას წინეთ საავთომყოფოდან გამოვიდა, სადაც ერთი თვე დაყო (ფეხი იტკინა). მექანიკმა მიზეზათ ის მოიყვანა, რომ, როგორც მასტერი კვასნიკოვი ამბობს (რასაკვირველია სიცრუეს), ეს მუშა საავადმყოფოში როდი წოლილა, არამედ ბალახანაში მუშაობდა...

მანქანის განყოფილების გამგე სოკოლოვმა, როგორც-კი მიიღო ეს თანამდებობა, ისარგებლა იმით, ბევრი მუშები ცუდათ დადიოდენ და „კაჩეგარებს“ თვიური ქარა 25-დან 18-დე დაუკლო. ვინც წინააღმდეგობას გამოიჩენს დაუყოვნებლივ დაითხოვს და მის ადგილზე ახლებს 18 მან. ქირაობს; მხოლოდ კანტორა თავს იკატუნებს, მე აქ არაფერ შუაში ვარ, ეს თვით კაჩეგრების სურვილით ხდებაო და მოწყალებასავით ორ მანეთს უმატებს.

ქალაქის რაიონი. ბლაგოობრაზოვის მოდის მაღაზია. ქალბატონი ბლაგოობრაზოვისა, როგორც ეტყობა ძალიან მოხერხებული ადამიანია და ზედმეტ ხარჯს არ ერიდება, თუ-კი ეს ხარჯი მას საშუალებას მისცემს მეტი შემოსავალი გამოაღებინოს თავის მუშა-ქალებს. ის ხშირათ მიემგზავრება მოსკოვისაკენ ხელოსანი ქალების დასაქირავებლათ. რასაკვირველია, უცხო ქალაქში, ნაცნობ-ნათესავებს მოშორებული მუშა-ქალი კანკალებს სამუშაო არ დაეკარგოს. ამასთანავე პირობაში უწერია ჯარიმა 100 მანეთი (!) პირობის დარღვევ სათვის.

სახელოსნოში ამნაირი წეს-რიგია: სასადილოთ ისე ცოტა დრო აქვთ მუშა-ქალებს, რომ ჭამასაც ვერ ასწრებენ ხეირიანათ. პირობით მათ უნდა იმუშავონ 7-დან 9 საათამდე, მხოლოდ სადღესასწაულოთ და როცა საჩქარო სამუშაოა 12-მდე ხან ორ საათამდე ამუშავებენ. მოპყრობით მეტად ცუდათ ეპყრობიან. ერთმა ხელოსანმა-ქალმა ვერ მოიცალა მუშაობისაგან და რაღაცების სასყიდლათ მაღაზიაში თავის მაგიერ შეგირდი ქალი გაგზავნა. „ხაზაიკამ“ გიგო თუ არა ეს, დაუყოვნებლივ უბრძანა „პრიკაზჩიკს“ ინგარიში გაესწორებიათ ამ მუშებისათვის, წაეყვანა სადგურზე, ეყიდა ბილეთი და მოსკოვში გაესტუმრებიათ. (მოსკოვიდან ჩამოსულები ასეთი პირობით ეკვრიან).

შარშან მუშა-ქალებმა ველარ აიტანეს ამდენი შრომა ზაფხულის პაპანაქება სიცხე'ში და გადასწყვიტეს სამუშაო დღის შემოკლება ერთი საათით. მაგრამ მუშაობას ისე პაეტუქსა ისინი, რომ არა თუ მედგრათ ვერ დაიცვეს თავისი გადაწყვეტილება, ამხანაგ ქალსაც-კი არ დაუჭირეს მხარი, როცა მან გაბედულათ ყველას მაგიერ საერთო მოთხოვნილება წარუდგინა „ხაზაიკას“ და როცა ამ გაბედულ ქალს გინება დაუწყეს; პრიკაზჩიკმა „ქალბატონის“ ბრძანებით უთოს რტყმევით გამოაგდო ქუჩაზე, მხოლოდ ერთი გამოდგა თავ-განწირული, მხოლოდ ერთმა ამოიღო ხმა, ერთმა სასტიკათ გაკიცხა დანარჩენი ამხანაგების საქციელი; ისიც მალე მიაყოლეს მის ამხანაგს. საქმე ამით არ გათავდა. შეურაცხყოფილმა ქალმა საქმე სასამართლომდი მიიყვანა, სადაც მისი ამხანაგები მის წინააღმდეგ ცრუ-მოწმეობასაც-კი ეწეოდენ! ნუ თუ ყველა ეს ადამიანები ბუნებით ცუდი, გაუსწორებელი ხალხია? არა! ბავშვობითვე აუტანელი შრომით დატუქსული, განა მთელ თავის სიცოცხლეს მონობაში არ ატარებენ! დაე, ჩვენმა თავისუფალმა სიტყვამ, ჩვენმა მოწოდებამ გააღვიძოს მათში მონობასთან ბრძოლის სურვილი!

მოგვყავს ნაწყვეტი ერთი მკერავი ქალის ღია წერილიდან, რომლითაც მან „ბაქოს მკერავ ქალებს“ მიმართა: „დროა, ამხანაგებო, გავიღვიძოთ და ირგვლივ მივიხედ-მოვიხედოთ! დროა შევიგნოთ ჩვენი აუტანელი მდგომარეობა, დროა გამოვარკვიოთ ეს მდგომარეობა. დილიდან საღამომდე წელ გაუმართავათ ვმუშაობთ; ვერც ადამიანს, ვერც სინათლეს ჩვენ ვერ ვხედავთ და თანვე ათასგვარ წვალებას, შეურაცხყოფას ვიტანთ. სამაგიეროთ ვიღებთ ორიოდე გროშს, რომლითაც ადამიანური ცხოვრება შეუძლებელია. ბევრი ჩვენგანი „ხაზაიკასთან“ ცხოვრობს. თითო ოთახში 5—6 ქალი; ჰაერი მოწამლულია, ერთმანეთს მოსვენებას არ ვაძლევთ; არ შეგვიძლია ხეირიანათ დასვენება, ვერ წაგვიკითხავს ვერაფერი, ვერსად ვხვდებით სხვა ჩვენ ამხანაგებს, რომ ერთად თავი მოვიყაროთ და საერთო სიქმეზე ერთად მოვილაპარაკოთ. ზოგი ჩვენგანი ისე შეეჩვია ამას, რომ ველარც-კი გრძნობს ამ საოცარ მდგომარეობას; როცა მათ თავისუფალი დრო მოებოვებათ გაბედულ და შეგნებულ ამხანაგებს გაურბიან“.

→ 31 ოქტომბერს ბიბიეიბათის რაიონულმა კომიტეტმა მილოვისა და ტაიროვის მუშების მიმართ პროკლამაცია გამოსცა. მოთხოვნილებანი შემდეგია: 1) ვადაზე მეტი მუშაობის მოსპობა; 2) ზრდილობიანი მოპყრობა; 3) მმართველი ნაზარიანაცის დათხოვნა; 4) მუშებისათვის აბანოს აგება, მანამ-კი აბანოსთვის ფულის ძლევა; 5) სრული, ნათელი და წმინდა ბინები და ფიცრების მაგიერ რიგიანი ლოგინების დადგმა.

4 ნოემბერს ამბავი მოვიდა უკვე, რომ მუშები დაკმაყოფილეს გარდა ერთისა ყველაფერში: მმართველი არ დაუთხოვიათ *).

→ 4 ნოემბერს „შავი ქალაქის“ რაიონის კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია ზავოდი „ვულკანის“ მუშების მიმართ; ამ ზავოდში აგერ ერთი თვეა სამუშაო ქირას არ აძლევენ მუშებს. ფურცელი იწვევს მუშებს ერთათ, გაბედულათ მოითხოვონ ხვედრი ფული.

—

აი რა მტანჯველ პირობებში ცხოვრებენ ბაქოს მუშები! აი რა ძნელია მცირეოდენი რისამე მოპოვებაც-კი მუშებისთვის და რა ადვილია იმის დაკარგვა, რაც მოუპოვებიათ! ნუ დავიწყებთ, რომ ასეა შარშანდელ შესანიშნავ საერთო გაფიცვის ერთი წლის შემდეგ, როცა ბაქოს მუშებმა იმდენი სიძლიერე და გაბედულება გამოიჩინეს! იმ გაფიცვის შემდეგ, რომელმაც მრავალი ადამიანი იმსხვერ-

*) მილოვისა და ტაიროვის მუშების მიმართ გამოცემული პროკლამაციის გავლენით, მანტაშევმა ბიბიეიბათში საჩქაროთ დაუთმო მუშებს: ბინის 10 მანეთამდე ასწია და აბანოსთვის თითო კაცზე 50 კაპ. იძლევა თვეში.

ბლა. რამდენი იბედი აღძრა ამ გაფიცვამ! რა იქნა ყველაფერი ეს? რა უფსკრულში ჩაცვინდა ეს იმედები, გამარჯვების მცირეოდენი ნაყოფიც-კი! ამ უფსკრულს სახელათ ქვია—**უუფლებობა.** მუშას არა აქვს უფლება შეატანიოს კანონმდებელს კანონის წიგნში ის, რაც ბრძოლით მოუპოვებია; მას არა აქვს უფლება სასამართლოს ძალით აიძულოს „ხაზეინი“ ამნაირი კანონის შესრულება; არ შეუძლიათ მუშებს კავშირები მოაწყონ თავისი ინტერესების დასაცველათ, კაპიტალისტთან საბრძოლველათ. არა აქვთ უფლება სიტყვიერათ, გაზეთის და წიგნების საშუალებით გამოამჟღავნონ ყოველგვარი ძალმომრეობა, დაგმონ უსამართლობა და ბოროტება.

კიდეც რომ ქონდეთ მუშებს ეს უფლებები, კიდეც რომ იყოს ყველაფერი ეს ჩაწერილი კანონის წიგნში, ვინ უნდა დაიცვას, ეს უფლებები, ეს კანონები? არვინ. დღევანდელი მთავრობა, მეფის თვითმპყრობელობა, ეს ათას-თავიანი „ოკოლოდოჩნი ნადზირატელი“ სწორედ მიტომ არსებობს ქვეყნათ, რომ ყოველგვარი უფლება გაქელოს, ყოველივე კანონი დარღვიოს თუ მას და მის დამქაშებს ეპირვებათ. მისათვის რომ რუსეთის ქალაქის პროლეტარიატს, ბოგანო სოფლის ხალხს და მცხოვრებლების, ყველა დჩაგრულ ნაწილებს შეძლოთ გაიუმჯობესონ თავის ქონებრივი და გონებრივი მდგომარეობა, საჭიროა უპირველეს ყოვლისა, რომ მთელი ხალხი იქნეს სახელწიფს გამგე—პატრონი; ის უნდა ირჩევდეს თავის წარმომადგენლებს და გზავნიდეს პარლამენტში, სადაც გამოსცემენ ხალხისათვის საჭირო კანონებს; ეს წარმომადგენლები ადევნებენ თვალ-ყურს ამ კანონების სისრულეში მოყვანას. მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი პარლამენტი მართლა მთელი ხალხის წარმომადგენელი დარჩეს, საჭიროა საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი ამომრჩევლობითი უფლება; საჭიროა რომ ეს არჩევნები დაფარული კენჭის ყრით ხდებოდეს (იხ. ამის შესახებ „პ.ბ. ფურცლის“ მე-8 №.)

ამნაირათ, მხოლოდ თავისუფალ სახელმწიფოში შეეძლება მუშამ იბრძოლოს ნაყოფიერათ თავის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ! ეხლა ჩვენთვის ცხადია, თუ რატომ არის რომ ბაქოში და სხვაგან რუსეთში, ასე ძნელია ეს ბრძოლა! ეს სიძნელე მაინც არ უნდა გვაჩერებდეს ჩვენ...

ჩვენში პროფესიონალური მუშათა კავშირები, რომელიც დასავლეთ ევროპაში ამ ბრძოლას ხელმძღვანელობენ, არაა და მთელი ეს მოვალეობა ჩვენი პარტიის კომიტეტებს აწევთ კისერზე; ეს კომიტეტები-კი უმთავრესათ უფრო დიად საქმეს უნდა აკეთებდენ მხოლოდ; ეს საქმეა შეგნებული პროლეტარიატის სოციალ-დემოკრატიული დროშის ქვეშ თავის მოყრა. მით უფრო საჭიროა ეხლა ეს, რომ რუსეთი დიდი ცვლილებების მოლოდინშია. ამ ცვლილებათა მოხდენაში პროლეტარიატმა უნდა მიიღოს შეგნებული და თვალ-საჩინო მონაწილეობა. ეს მას შეუძლია მხოლოდ მით, რომ შექმნას ძლიერი პოლიტიკური პარტია ე. ი. სოციალდემოკრატიული პარტია.

ამ აზრით რომ ვიხელმძღვანელოთ და დღევანდელ მუშების ბრძოლას კაპიტალისტებთან შევხედოთ, უნდა აღვიაროთ, რომ ცდებიან ისინი, ვინც ამ ჟამათ მუშებს საყოველთაო გაფიცვაზე იწვევენ. ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, ჩვენი ბაქოს კომიტეტი, როგორც ყოველი სხვა კომიტეტი, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს ასეთ გაფიცვას, ვერ შესძლებს ამის შესრულებას. რამდენი ქარხნები, ზავოდები, სახელოსნოებია ბაქოში! ყველგან თავისებური პირობებია მუშაობის, ყველგან სხვა-და-სხვანაირი საჭიროება! მარტო პროკლამაციები რამდენი საჭირო საქმის რიგიანათ მოსაგვარებლათ! გაფიცულების შეერთება, თვალ-ყურის დევნება, რომ არავინ უღალატოს, და სხ.-და-სხ.; ამას ასობით სჭირია დახელოვნებული და მცოდნე კაცები. ასეთი საქმის შესრულება ჯერ არ ძალუძს ჩვენი პარტიის არც ერთ კომიტეტს!

გ ა თ უ მ ი.

ჯარიდან. ჯარი შეინძრა, იგრძნო, რომ სალდათის ფარაჯაშიც ის უნდა ადამიანურ ცხოვრებას ეძებდეს და ასეთ ცხოვრებისათვის იბრძოდეს. სალდათის ცხოვრება დახუთულ ყაზარმებში რომ დაუსრულებელი და უსაშინელესი ტანჯვა-წვალებაა, ეს ყველასათვის თვალ-საჩინოა. აქ ყველა უფროსი შენი უსაზღვრო ბატონ-მბრძანებელია, ყველა უნ-ცროსი ყურ-მოკრილი, უენო პირუტყვია, მანქანა, რომელსაც ხელში თოფი აქვს მიცემული, რომ ეროლოს ძმას, მამას, დედას, მეგობარ-ნათესავს, ერთი სიტყვით ყველას, ვიზედაც უჩვენებენ და სადაც უჩვენებენ. დიახ, ის ვეებერთელა მანქანაა, რომელიც თვითმპყრობელობის რკინის ბრჭყალებს წარმოადგენს და ხალხზე მის ბატონობას აძლიერებს.. ყველასათვის აშკარაა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობამ დიდი ხანია მოჭამა თავის დრო, რომ ის დღეს რუსეთის თითქმის ყველა კლასებისათვის მხოლოდ ზედ-მეტი ბარგია, მხოლოდ ზარალის მომტანია, ხორც-მეტია, მარა ის მაინც ძლიერია და ეს სიძლიერე ხიშტების სიძლიერეა!.. თვითმპყრობელობა ერთიანათ სალდათების ხიშტებზეა დამყარებული და როცა ეს ხიშტები მის წინააღმდეგ მოიმართება, მისი ბატონობაც გაქრება, როგორც შარშანდელი თოვლი. რომ ეს დრო შორს აღარაა, ამის ნიშნებს თვით სალდათების ცხოვრეგის ზოგიერთი მოვლენები გვიმოწმებენ. სალდათები დიდი ხანია ხარბათ ეწაფებიან რევოლიუციონურ ლიტერატურას, და ახლა მათში აქტიური პროტესტიც დაიბადა. აი ორი ასეთი შემთხვევა. პირველი. ერთი ნაპირის ბატარეაზე ოთხი თუ ხუთი წლის ტანჯვა-წამება დაასრულეს 100-მდე სალდათმა: რუსმა, ქართველმა, სომეხმა და სხვ. და აი ახლა, როცა დადგა ის სანატრელი დრო, რომელსაც მოუთმენლათ, გულის ფანცქალით მოელოდენ ამდენი ხნის განმავლობაში, მათ მოულოდნელათ გამოუცხადეს: კიდევ უნდა დარჩეთ, რადგან მანჯურიაში ჩვენ მეფეს ჯარი კალიასავით უწყდება და თქვენც სჭირდებითო. სალდათებს გული მოსწყდა. სისხლი მოადგა ყელში! განა შეიძლებოდა ამის ატანა?! მათ დამწვარს გულზე ამ სიტყვებით მდუღარე გადაასხეს, და რომელი გული აიტანდა ასეთ დაჩაგვრას?! სალდათების მოთმინებასაც ბოლო მოელო და მათ გადასწყვიტეს, ეჩვენებინათ მთავრობისათვის, რომ მათაც შეუძლიათ თავის თავის გაძღოლა, და ასეთ ყოველ ზომას გადაცილებულ უსამართლობისაგან თავის დახსნა. მათ მტკიცეთ გადაწყვიტეს ყაზარმის ტყვეობიდან თავი დაეხწიათ და ერთი კვირის თათბირისა და რჩევის შემდეგ კიდეც შეუდგენ საქმეს. ერთ მშვენიერ დღეს მოხსნეს ყარაულები, აიგლიჯეს ბეჭებზე პაგონები, დაყარეს თოფ-იარაღი და მოითხოვეს: ან გაგვიშვით ნებით, ან ძალით წავალთო. შეფუცხუნდენ ჯარის უფროსები, მარა რა უნდა ექნათ? რა ღონე უნდა ეხმარა? რა ძალით უნდა დაემორჩილებიათ „აბუნტებული“ სალდათები? აქამდი ხალხის მღელვარებას და თავისუფლებისათვის მებრძოლთა პროტესტებს სალდათის ხიშტებით აჩუმებდენ, ეს იყო მათი უკანასკნელი საფარი და სიმაგრე. ახლა-კი ეს საფარი ხაფანგათ გადაექცათ და... და მათ მეტი გზა რა დარჩენოდათ, უნდა დათანხმებულიყვენ. საქმის გახმაურებას, ჩაფუჩეჩება არჩიეს და სალდათები შშვიდობიანათ გაისტუმრეს თავ-თავიანთ სახლებში!

არ გასულა ამის შემდეგ ორი კვირაც, რომ მეორეგან იჩინა თავი ჯარში პროტესტმა, ახლა არდაგანის პოლკში. ომიანობამ და ომის მოლოდინმა ლამის ზაფრის ქარები გაუჩინოს ბათუმის ადმინისტრაციას. ყველგან ,,წყეული'' იაპონია ელანდებათ თხებივით დამფრთხალ თვითმპყრობელობის ქოფაკებს. და ამისთვის ჯარს დააწვა კისერზე ორკეცი შრომა, რის გამო მისი მწარე ცხოვრება აუტანელი შეიქნა. ღამე ყარაულში ყოფნა, დღე ,,უჩენიაზე'' სიარული ე. ი. 24 საათის განმავლობაში დაუსვენებელი ჯაფა—აი რა უნდა აეტანათ სალდათებს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ჩვეულებისამებრ სალდათებს ხვედრ ფულს, რომელიც მათ გამოკვებაზე უნდა იხარჯებოდეს, ყველა დიდი და პატარა მოხელეები უსირცხვილოთ აგლეჯენ თავისთვის გემრიელ ლუკმას. საპმელი, რაც მოდიოდა, ისიც უვარგისი და ცუდათ მომზადებული. სალდათებმა ვეღარ აიტანეს ამდენი გაჭირვება: ერთი დიდი განცხადება (ზაიავლენიე) გაუგზავნეს თავიანთ უფროსს, რომ მას ყურადღება მიექცია სალდათების მდგომარეობაზე და ,,მეფის და მამულის'' დასაცველათ მშობლებს და ნათესავებს მოწყვეტილი სალდათები ყაზარმებში შიმშილით და უზომო ჯაფით არ ამოეწყვიტა. ,,თორემ, სწერდენ ისინი, ყველაფრის ამტანი სალდათის მოთმინებასაც ექნება საზღვარიო. ჩვენ ვიცით, ვისთვის გვახჩობენ დახუთულ და აყროლებულ ყაზარმებში, რომ ეს ხალხის, ჩვენი ძმების სასარგებლოთ არ ხდებაო. თუ ერთკვირაში არ დაგვაკმაყოფილებთ, იძულებული ვიქნებით, საპირო ღონისძიებას მივმართოთ და ჩვენ თავს თვითონვე ვუპატრონოთო''... ,,მოთხოვნილებები შემდეგი იყო: 1) ან ყარაულში გაყვანა, ან ,,უჩენიაში'', და არა ორივე ერთსა და იმავე დროს, როგორც აქამდის იყო. 2) არ უნდა იპარავდენ ხაზინიდან გამოცემულ ფულს და სასმელ-საპმელი რიგიანი და საკმაო უნდა გვეძლეოდესო''. სამ დღეში ყველა მოთხოვნილებები ხმის ამოუღებლივ დაკმაყოფილებულ იქმნა. ამნაირათ სალდათი ნელ-ნელა ახწევს თავს საღათას ძილს, ხედავს, რომ სხვის ხელში მანქანათ ყოფნა არ ვარგა და პროტესტის გზაზე გამოდის! ის უკვე ცდილობს თავის ბრძოლით, თავის ძალ-ღონით ოდნავ მაინც შეიმსუბუქოს თავის გამწარებული ცხოვრება და დაიფაროს თავი ყოველი გარყვნილი უფროსის თვითნებობისაგან. მაშ, გაუმარჯოს გამოღვიძებულ სალდათობას, გაუმარჯოს მათ პროტეტს, მათ შეგნებას! ,,გაიღვიძე დაჩაგრულო მხედრობავ, შენს ხელშია მთელი ქვეყნის ბედია''! გაიღვიძე, შეხედე შენს მოსისხლე მტერს, და მილეწ-მოლეწე შენ მოძმეთა სისხლით შესვრილი მეფის ტახტი! სამუდამოთ დაუდუმე ბილწი ენა, რომელიც მებრძოლ მოძმეთა წმინდა სისხლის დინთხევას გიბრძანებს. მთელი გაღვიძებული მშრომელი ხალხი ძმურათ გიწვდის ხელს, შენც მიე ხვლი, იძმე და ეძმე, რომ შეერთებული ძალით შემუსრო საერთო მტერი. ძირს თვითმპყრობელი მეფე! ძირს ომიანობა! გაუმარჯოს ხალხს და რევოლიუციას!..

გ უ რ ი ა.

გუბერნატორი ოზურგეთის მაზრაში.

ოქტომბრის შუა-რიცხვებში მთელი ხროვა სტრაჟნიკებით გარშემორტყმულმა ქუთაისის გუბერნატორმა სმაგინმა დიდი ამბით შამოიარა ოზურგეთის მაზრა. ,,ჩემი სურვილია'', ეუბნებოდა ის ხალხს, ,,შევიტყო თქვენი გაჭირვება და დალხინება, რომ შეძლებისამებრ დახმარება აღმოგიჩინოთო''! ტკბილი სიტყვებით, რჩევით და დარიგებით მას უნდოდა მოეგო ხალხის გული და ისე აეცუნდრუკებინა თავის ნებაზე, როგორც ახალმა მინისტრმა სვიატოპოლკ-მირსკიმ ააკულიპინა რუსეთის ლიბერალები... მას უნდოდა მისი მოგზაურობა თვითმპყრობელობის ტრიუმფათ გადაქცეულიყო, მარა... მარა ჩვეულებრივ უმტყუნა ბედმა და ახლა ალბათ, იმ დღესა და საათს წყევლის, როცა ოზურგეთის მაზრაში წასვლა აზრათ მოუვიდა. ან-კი როგორ არ სწყევლის, როცა ის, მთელი გუბერნიის მფლობელი და მბრძანებელი, უბრალო ხალხმა გუშინდელმა მონამ აბუჩათ აიგდო, და რიგიანი პასუხის ღირსადაც არ გახადა. მოელ მის მოგზაურობის დასახასიათებლათ საკმარისი იქნება ავწეროთ ერთი საზოგადოების ამბავი. ავიღოთ ჩოხატაური. აი ქუდ-მოგლეჯილი მამასახლისი და მისი თანაშემწეები დარბიან და იწვევენ ყველას კანცელარიაზე: ,,გუბერნატორი მოდისო''. ,,ერე ჩვენ რა''-ო, ამბობს ხალხი და ყურსაც არ ათხოვს მათ ქაქანს. კანცელარიასთან იკრიბება სულ 35-40 კაცი, უმთავრესათ მოხუცები. გუბერნატორი ცოფსა ყრის. ,,მე სტრაჟნიკები მეტი მახლავს, ვინემ გლეხები შემხვდენო. რათ არ მოიკრიბა ხალხიო?! მაზრის უფროსი გაფითრებული კბილებს აკრაჭუნებს. გუბერნატორი ეკითხება ხალხს: ,,მითხარით, თუ რა მე გაჭირვება გაქვთ, მე წარმომიდგინეთ თქვენი სათხოვნელი და ყველაფერს აგისრულებთო. ხალხმა მოიფიქრა, მოილაპარაკა და მოახსენა: ,,სასმელ-საპმელი წელს კარგათ მოგვივიდა, მხოლოდ მთავრობის მამასახლისი მოგვაშორეთ, მის ჯამაგირს ვერ გადვიხდითო და თუ შეიძლება, არაყის გამოხდის ნება მოგვეცით უბაჟოთო''. ასეთი გაბედული სიტყვები ვეღარ მოითმინა მონურ მოკრძალებით მოხსენებას შეჩვეულმა გუბერნატორმა და გულზე ცეცხლ-მოდებულმა შეღრიალა: ,,15 მამასახლისი უნდა დაგიყენოთ თქვენ, ეგებ ამით მოჭკვიანდეთო. თქვენ ყველა ბუნტოვშჩიკები ხართ, თქვენ ინახავთ სოციალისტებსო... თქვენ თუ კარგი კაცები იყოთ, თქვენ ცხვირ-წინ რომ კაცს თოფებდ დაუშინეს და დასჭრეს, რატომ ყველა თავზედამსხმელი არ დაიჭირეთ და არ წარმომიდგინეთო''. (იქ წინა დღეებში დასჭრეს შ—ძე, რომელმაც ერთი შეგნებული პირი მ—ძე მოკლა და შემდეგ პოლიციაში იმალებოდა). ,,თუ სადმე ღინწკულაი დანა გაგვაჩდა, ყველა წაგვართვით და შეიარაღებულ კაცებს რითი უნდა შეეხვედროდითო. პოლიცია და დარაჯები აქ იყვენ, ბარა ხმაც ვერ გასცესო''. მიუგეს გლეხებმა დამშვიდებით. ახლა-კი გუბერნატორის ბატონური გული სასლით აივსო და ხალხს მუქარა დაუწყო: ,,თქვენ სულ ყველა საციმბირო ხართ, ყველას გადაგასახლებთო, სხვა საზოგადოებები მადლიერი მყავს, ყველას შემწეობას აღმოვუჩენ, თქვენ კი უეჭველათ გადაგასახლებთო''. ,,თუ მაგი გქონდა გულში, რაღათ გვიბარებდიო!'' ჩაილაპარაკეს გლეხებმა და გასწიეს თავ-თავიანთ სახლში. ყველა დაინტერესებული იყო, გაეგო, რა მოხდა მეორე საზოგადოებაში რა ბედნიერება მიანიჭა გუბერნატორმა და როგორც-კი შეხვდენ სხვა საზოგადოების კაცს, შეეკითხენ: „ჩვენ აგვიკლო გუბერნატორმა, ყველგან კარგი ხალხია, თქვენ-კი უნდა გადაგასახლოთო, თქვენ რას დაგპირდათო''. ,,გადასახლება დაგვპირდაო'', მიუგო მოჭრით მოსულმა! აღმოჩნდა, რომ გუბერნატორი ყველგან ერთსა და იმავეს ამბობდა, სათითაოდ გადასახლებას ემუქრებოდა, რადგან დაყვავებით და დაამებით ვერსად ხალხის გული ვერ მიიზიდა...

მიტინგები სალდათობის და ომის წინააღმდეგ.

მოვიდა ახალი სალდათების გაყვანის დრო და სოფელიც შეინძრა. შეგნებულ მშრომელ ხალხს, რომელმაც დაინახა თავისი მოსისხლე მტერი მდი-

დრები და მათი მფარველი მეფე, არ სურს მათ სასამსახუროთ გაგზავნოს თავისი დავაჟკაცებული შვილები, ძმები, მეგობრები. თვითონ სასალდათოებს, რომელთაც სულით და გულით სძულთ და ეზიზღებათ მშრომელი ხალხის მჩაგვრელები, კიდევ უფრო არ სურთ მათი მსახურება. მათ არ სურთ იმ საპყრობილეში ჩაკლან თავისი ვაჟკაცობა, რომელსაც ყაზარმას ეძახიან, და სადაც ძხოლოდ თავისი მოძმის წინააღმდეგ თოფის სროლის და მეფისთვის სისხლის დაღვრას ასწავლიან. ესენი ერთხმათ აცხადებენ პროტესტს მტარვალთა წინააღმდეგ. სალდათობა—მტერია ხალხის, გაუახადგურებელია მისი საცხოვრებლის, ხალხს არ სურს სალდათობა, რადგან მხოლოდ ის მდიდართა ბატონობის მცველია, მხოლოდ ხალხის დაჩაგვრის იარაღია. მაშ ძირს სალდათობა! მშრომელი ხალხი არ ომობს! მას უყვარს მყუდრო, მშვიდობიანი, ადამიანური ცხოვრება; მას ყველა ქვეყნის მუშა მოძმეთ ეგულება და ყველა ქვეყნის მუშა მას მოძმეთ უყურებს. რა აქვთ მათ სადავო, რათ უნდა ღვარონ ერთმანეთის სისხლი, ვისთვის უნდა ყლიტონ ერთმანეთი! განა იმისთვის, რომ ერთ მუჭა მდიდრებს, კაპიტალისტებს და მეფეს ჯიბე გაუვსონ და ხალხზე მძიმე უღელი დაადებინონ!? განა იმიტომ რომ ხალხის დაუძინებელი მტრები გააძლიერონ!? მაშ, ძირს ომი! ასე ფიქრობს და ასე აზროვნობს მშრომელი ხალხი! და როცა მეფე თხოულობს მისგან ბეგარათ შვილების მიცემას—მკვახე პროტესტით უპასუხებს. ოზურგეთის მაზრაში ხალხის აღელვება უკიდურეს წერტილზე იყო მისული! ხალხს წყუროდა მთავრობისთვის ზიზღის გამოთქმა აშკარათ, გამოჩენილათ;—„როგორ ვემსახურო ჩემ მტარვალს, როგორ მოვითმინო მისი გარყვნილი ბრძანებლობა! არა, არ გავალ სალდათათ!“ ასე ფიქრობდა სასალდათო ახალგაზრდობის უმრავლესობა. მაგრამ რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობის ინტერესები თხოულობდენ, ასეთი მტკიცე უარი არ გამოცხადებულიყო, რადგან მას მხოლოდ ცუდი შედეგი მოყვებოდა. ამიტომ ადგილობრივი ორგანიზაცია წინააღმდეგი გახდა ასეთი სურვილის. გადაწყვეტილი იყო მხოლოდ პროტესტით დაკმაყოფილება, და რადგან თვითონ ოზურგეთში სადაც კენჭის ამოღება ხდება, მთავრობა დიდი ხნიდან მზათ იყო და დემონსტრაციის მოწყობა შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ ისევ სოფლათ მიტინგები უნდა გამართულიყო. ასეთი მიტინგები კიდეც გაიმართა რამდენიმე ადგილას. ოზურგეთის რაიონში მიტინგებმა მშვიდობიანათ ჩაიარა. ხიდისთავისაში-კი აღტაცებულმა ხალხმა ველარ მოითმინა და რევოლვერები დაცალა, თუმცა გადაწყვეტილი იყო იარაღი არ ეხმარათ. აი როგორ მოხდა ეს: ერთი სოფლის მახლობლათ საღამოზე მოიყარეს თავი ახლო-მახლო სოფლის სასალდათო ყმაწვილებმა, მოვიდენ ბევრი გარეშენიც, ქალი და კაცი. გაიმართა მიტინგი ჟინჟილების სინათლეზე. ჰაერში აფრიალებული წითელი დროშა ცეცხლის შუქზე სისხლის ფრათ ელვარებდა. ხალხი აღტაცებით ისმენდა ორატორის მხურვალე სიტყვას, რომელიც შეეხებოდა ომს, მთავრობის მტარვალობას და სხვ. და თვალით-კი დროშას, თავისუფლებისათვის საბრძოლველათ ამართულ დროშას მისჩერებოდა. სიტყვის დასასრულ გაისმა ხალხის გრიალი: ძირს ომი! გაუმარჯოს თავისუფლებას! ამასთანავე აყარეს პატარა წითელი ფურცლები. მეორეთ და მესამეთ კიდევ ითქვა სიტყვა. დაშლისას ხალხმა ველარ მოითმინა და რევოლვერების ტკაცა-ტკუცით შეანძრია მთელი არე-მარე. პოლიციამაც შეიტყო ეს და... ხიდისთავსა და ლანჩხუთში ყაზახები ჩააყენეს, თუმცა არც ერთ მათგანში მიტინგი არ ყოფილა.

ქ უ თ ა ი ს ი.

გაჭრა ქუთაისის „მყუდროება“... ქუთაისმაც გაიღვიძა! ის, რის შესრულებაც ვერ შესძლო ვერც **თავადაზნაურობის** ბანკმა მისი „ქვეყნის მსხნელი“ დონ კიხოტებით, ვერც ქალაქის საბჭომ მისი „პატრიოტი“ **ვაჭრებით**, ვერც თვით (თვით!) ისტორიულმა ბულვარმა მისი „**ინტელიგენტ-ინტელიგენტკებით**“,—ერთი დაკვრით შეასრულა სოციალისტურმა დროებამ, და მით ქვეყანას ერთხელ კიდევ ემცნო, რომ მხოლოთ **რევოლუციონურ პროლეტარიატს** შეუძლიან მიდუნებული ცხოვრების გამოცოცხლება.

კვირას, 31 ოქტომბერს, სამხედრო საკრებულოს წინ ასამდე ქუთათურმა მუშამ შემოიერთა ხონელი სასალდათო, გაშალა წითელი დროშა და ყიჟინით ჩაიარა ბულვარამდე. აფრიალებული. დროშა, დროშის ქვეშ 120 მდე თავგამოდებული დემონსტუანტები, ურიცხვი ფურცლები და პრაკლამაციები *), რომლებიც პროცესიის დროს გამუწყვეტლივ იფანტებოდა მარცხნივ და მარჯნივ, აღფოთოვანებული სახეები დემონსტრანტებისა და სასიამოვნო, ამაღელვებელი ძახილი: ძირს სალდათობა (მილიტარიზმი)! ძირს მეფის თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!.. ასეთი იყო სურათი ჩვენი დემონსტრაციისა. დემონსტრანტებმა საქვეყნოთ დაჰგმეს და უარჰყვეს ყველაზე პირველათ სალდათობა, ის სალდათობა, რომლის მიზეზი იძულებულია ოთხ-ხუთ წლობით—და ხშირათ სამუდამოთაც—მოშორდეს თავის სამშობლოს დღევანდელი სოფლისა და ქალაქის ახალგაზდობა, ის სალდათობა, რომელიც შეძლებას აძლევს თვითმპყრობელ მეფეს გარეთ თავისუფალი ერები დაიმონავოს და შინ მშრომელების სისხლი ღვაროს. და რადგან სალდათობის მოსპობა შეუძლებელია იქამდე, სანამ მეფის თვითმპყრობელობა არ მოისპობა,—ამიტომ დემონსტრატებმა საქვეყნოთ დაჰგმეს და უარჰყვეს ეს თვითმპყრობელობაც. მხოლოთ მაშინ, როცა მეფის მთავრობას დავამხობთ და მის ადგილზე დამფუძნებელ კრებას ავარჩევთ, მხოლოთ მაშინ შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ სალდათობას ბოლო მოეღება. აი, რა უნდოდათ ეთქვათ დემონსტრანტებს, როცა ისინი ერთხმათ გრიალებდენ: გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებასო! ვინ განახორციელებს ამ წმიდა მიზანს, ვინ დასცემს ძირს მეფის თვითმპყრობელობას?—მთელი რუსეთის პროლეტარიატი. ვინ გაუძღვება წინ ამ პროლეტარიატს, ვინ გაუნათებს გზას?—რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია. სწორეთ ამიტომ იძახდენ დემონსტრანტები: გაუმარჯოს რუსეთის მუშათა სოციალდემოკრატიულ პარტიასო! და რადგან დამფუძნებელი კრებაც, მილიტარიზმის მოსპობაც და ჩვენი პარტიის გამარჯვებაც იმიტომაა საჭირო, რომ სოციალისტურ ცხოვრებასთან დაგვაახლოვებს, რადგან სოციალისტური მიზანი ჩვენი უმთავრესი მიზანია,—ამიტომ დემონსტრანტებმა წითელი დროშის ქვეშ, სოციალისტური დროშის ქვეშ მოიყარეს თავი. ასეთი იყო შინაარსი ჩვენი დემონსტრაციისა.

პოლიცია სრულიათ მოუმზადებელი შეხვდა დემონსტრაციას, ის არ ელოდა იმისთანა რამეს ქუთაისში, რის გამოც მთელი დღე რეტიანივით დარბოდა და ეძებდა ვის?—თითონაც არ იცოდა.

---

*) ორგანიზაციამ მოხერხებულათ სცნო პროკლამაციასთან ერთათ გაევრცელებინა დემოკრატიულ მოთხოვნათა ფურცელიც, რომ მით მოკლე პასუხი მაინც მიეცა სახოგადოებისთვის ზოგიერთ იმ საერთო კითხვებზე, რომლებიც უეჭველათ იბადება ხოლმე დემონსტრაციის გამო.

სადღაც როყიოთ წააწყდა ,,ვილაცეებს'' და დაიჭირა 7 კაცი (5 მუშა და 2 ინტელიგენტი). სამაგიეროთ მეორე დღეს სრული ნიშნები გამოჩნდა ,,მზადებისა''. სმაგინ-ფაშამ გასცა თურმე ბრძანება: შეკრიბეთ ყაზახები, მიეცით თვითმპყრობელობის ბაირაღი და უთხარით—სიმღერით შემოიარონ ქუთაისი,—ვითომდა ახლა ჩვენი ჯერიაო! საცოდავები! ასე უნდოდათ წაეშალათ მოქალაქეთა ხსოვნაში ის შთაბეჭდილება, რომელიც მიიღეს მათ რევოლიუციონერთა დემონსტრაციისგან! მაგრამ ამაოთ! ყაზახების გამხეცებული სახე საკმაოთ ამტკიცებდა, რომ ისინი ძალ-მომრეობისა და გარყვნილებას ემსახურებიან. საკვირველი არაა, ამიტომ, თუ ყაზახების ,,დემონსტრაცია'' მხოლოთ დაცინვასა და ზიზღს იწვევდა მაყურებლებში, რა თქმა უნდა, ზოგიერთი მეფის ლაქიების გარდა. აქაურ მუშებს სრული უფლება აქვთ გამარჯვება იდღესასწაულონ.

თ ფ ი ლ ი ს ი.

იარალოვის ქარხანა. მეტათ აუტანელი შრომის პირობებია ამ ქარხანაში. შეგირდებს მთელი თვეობით ამუშავებენ უქირაოთ. გაუტყდებოდა ვინმეს იარაღი და ისედაც მცირე ქირიდან ურიცხავდენ. არავითარ დახმარებას და სასყიდელს არ აძლევდენ მუშაობის დროს დაშავებულ მუშას. ჯამაგირს ყოველთვის მუშაობის გათავების შემდეგ იღებდენ. თუ ვინმეს უკმაყოფილებას შეატყობდენ, ხელათ ითხოვდა ქარხნის ადმინისტრაცია სამუშაოდან. გასულ წელს რამდენიმეჯერ მოხდა ამ ქარხანაში გაფიცვა, მაგრამ ყოველთვის მუშების დამარცხებ თ გათავდა.

16 ოქტომბერს გაიფიცენ შეგირდები. საუზმის შემდეგ ისინი შეიკრიბენ კანტორის წინ და მოითხოვეს ქარხნის მმართველი. ისიც გამოცხადდა... შეგირდებმა ჯამაგირის მომატება მოსთხოვეს. განრისხებულმა მმართველმა ყურადღებაც არ მიაქცია მათ მოთხოვნილებას და ასეთი პასუხი გასცა: ,,თუ არ გინდათ მუშაობა, შეგიძლიათ ყველანი წახვიდეთო. ამის შემდეგ შეგირდებმა დაუყოვნებლივ დაყარეს იარაღები და გამხნევებული გავიდენ გარეთ. შეგირდებს მეორე დღეს ქარგლებიც მიემატა. თუმცა ისინი ჯამაგირის მომატებაას არ თხოულობდენ, მარა შეგირდებთან სოლიდარობის გამოსაცხადებლათ გაიფიცენ. და როდესაც ქარხნის ადმინისტრაციამ წინადადება მისცა,—იმუშავეთო,იმათ ერთხმათ განუცხადეს: ,,არ ვიმუშავებთ, სანამ შეგირდების მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებულიო''. ამ ნაირად მუშაობა შეწყდა ქარხანაში.

ორშაბათს საღამოს (გაფიცვა პარასკევს დილიდან დაიწყო) მოვიდა საფაბრიკო ინსპექტორი. შეგირდები ყველანი ქარხნის წინ იყვნენ თავ-მოყრილი. მან მიმართა გაფიცულებს და ჰკითხა თუ რას თხოულობდენ. იმავე წამს ხალხიდამ ერთმა შეგირდმა მიაწოდა ქაღალდზე ჩამოწერილი მოთხოვნილებები: 1) ახალ და ღონიერ შეგირდს პირველ თვეში მიცემოდა დღეში 20 კ. შემდეგ-კი მომატებოდა ყოველ თვეს თითო შაური; 2) მოისპოს შტრაფები და გატეხილი იარაღების ფასის მუშის ქირიდან გამოკლება; 3) მუშაობის დროს დაშავებულ მუშას მიეცეს ნახევარი დღის ხელფასი; 4) ჯამაგირი მუშაობის დროს დარიგდეს: 5) გაფიცვის მეთაურები სამუშაოდან არ დაითხოვონ. ინსპექტორმა ჩაიკითხა მოთხოვნილებები და უთხრა: ყველა ეს დათმობილი იქნება, მხოლოდ ხვალ ყველამ გამოდით სამუშაოზედ, და თუ ქარხნის ადმინისტრაცია არ დაგაკმაყოფილებს თითო კაცზე 100 მანეთ ჯარიმას დავადებო. მუშები არ ენდენ ინსპექტორმა ,,პატიოსან სიტყვას'' და მოსთხოვეს, რომ ქარხანაში გამოეკრათ განცხადება, რომ ქარხნის უფროსი აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებებს. მეორე დღეს ყველა სამუშაოთ გამოვიდენ, მარა განცხადებაში არ იყო ყველა მოთხოვნილებები მოხსენებული. მუშებმა კვლავ დაყარეს იარაღები და ქარხანა დაცალიერდა. ოკოლოდოჩნიკი ხელათ გაჩნდა. მოიწვიეს ჯამუშებიც; ბოქაული იბარებდა ხან ერთ მუშას და ხან მეორეს და ურჩევდა რომ გაეცათ ამხანაგები და მუშაობა დაეწყოთ. ჟანდარმმა წერილით მიმართა ქარხნის უფროსს:—მითხარი ვინ არის მეთაური და მე მაგათ დავაცხრობრ. ქარხნის უფროსმა უპასუხა: — ეგ არაფერია, მაგისთანა ბუნტობია აქ ბევრჯერ ყოფილა, მარა მიზანს არ მიუღწევიათო. ხვალ თვითონვე მოვლენ და შემეხვეწებიან მამუშავეო. იმას იმედი ჰქონდა, რომ შაბათს,—ფულის აღების დროს დაიწყებენ მუშაობას, როგორც ეს წინეთ ყოფილი ხოლმე. მაგრამ ეხლა იმედი გაუცრუვდა მას: შაბათს ყველა გამოცხადდა, მუშაობის დაწყებას კი არავინ ფიქრობდა. ქარხნის ადმინისტრაცია ეხლა-კი დარწმუნდა რომ მუშები არ ხუმრობდენ და დაკმაყოფილა ისინი.

ორშაბათს მუშაობა დაიწყეს—გაფიცვა გაგრძელდა 10 დღე. გაფიცვამ ყველა მუშებზე დიდი შთაბეჭდილება იქონია. აგიტაციებზე ხალხი ბლომათ მოდიოდა.

—

გორი (ტფილისის გუბ.). გლეხთა მოძრაობამ კავკასიაში უკვე მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა. 1902 წ. გურიის გლეხების აგრარული მღელვარება დღეს მთელ მოძრაობათ გადაიქცა. გლეხების კონსერვატიული'' ბუნებაც ამუშავდა. თუმცა მასაც შესძლებია მძარცველთა და მყვლეფელთა წინააღმდეგ ბრძოლა. მას შესძლებია არა მარტო მემამულეებისა და სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ ,,ორთავიან არწივის'' თვითმპყრობელობასთანაც. ქალაქის მუშასთან ერთად მანაც შეიგნო დღეს პოლიტიკური თავისუფლების საჭიროება და ისიც ებრძვის თვითმპყრობელობას. მასაც ეხედავთ ჩვენ სხვა პოლიტიკურ დამნაშავეთა შორის, ისიც გამოდის დემონსტრაციებზე და აშკარა პროტესტს უცხადებს ეხლანდელ პოლიტიკურ რეჟიმს, ცივ ციმბირის კარები მისთვისაც გაიღო ერთი სიტყვით, რაც იყო, ის აღარ არის. თვითმპყრობელობის იმედი ამ მხრითაც გაცრუვდა—სოფელმა, ამ რეაქციის საბუდარმაც-კი გამოიღვიძა და გლახა ,,სიურპრიზებს'' უკეთებს მეფ ს მთავრობას. მაგრამ თვითმპყრობელობას კადევ ჰქონდა იმედი, სანამ გლეხი მას აძლევდა მორჩილ სალდათს ამავე გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ. მარა დახეთ უბედურებას! ამოძრავებულმა სოფელმა ადგილათ შეამჩნია რომ თვითმპყრობელობა მემამულეებთან და სამღვდელოებასთან ერთად სჩაგრავდა და ფეხ-ქვეშ სთელავდა მას და, რაც უფრო საგულისხმოა, ყველა ამას ის სჩადოდა ხალხისავე საშვალებით,—სალდათის შემწეობით, რომელიც თვით ამ მუშებისაგან, ამ გლეხებიდან გამოსულიყო. საჭირო იყო შეგნების გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯის წინ წადგმა,—რომ გლეხს პროტესტი განუცხადებია სალდათობის წინააღმდეგ—და ამითი დაეგვირგვინებია თავისი პოლიტიკური მომზადება.

მოხდა ახალ სალდათების დემონსტრაციები გასულ წელს: გურიაში, ბათუმში და სიღნაღში. წელსაც, მიუხედავათ იმისა, რომ თვითმპყრობელობა ცდილობდა, ხალხში გამოეწვია პატრიოტული აღტაცება,—მის წინაშე კვლავ დგას შეგნებული ქალაქისა და სოფლის მუშები—,,კრამოლა'' მაინც მძვინვარებს და მეფის ცდა ამაოთ რჩება.

7 ნოემბერს კენჭის ამოღების დროს მოხდა ახალ-სალდათების დემონსტრაცია? გარდა სალდათებისა გარეშე ხალხმაც მიიღო მონაწილეობა. ხალხის ერთმა ჯგუფმა ადგილობრივ პოლიციის თვალ-

წინ აუშვა წითელი დროშა წარწერით: ,,ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას! ძირს კაპიტალიზმი და ომი! გაუმარჯოს სოციალიზმს''; და გაუმარჯოს მშრომელ ხალხს, ძირს თვითმპყრობელობას ყვირილით გაიარეს რამდენიმე ქუჩა. მთავრობა-კი პირდაღებული შეცქეროდა დემონსტრანტებს და მხოლოდ მაშინ,—როდესაც დემონსტრაცია გათავდა და ხალხი დაიშალა, დაიწყო ,,ბუნტოვჩიკების'' ძებნა. ხელათ აფრინეს თფილისში ტელეგრამა—გვიშველეთ ,,ბუნტი'' დაიწყო, ქალაქი ინგრევაო. გაჩნდა მარტინოვი და შეუდგენ გამოძიებას... მარა ვერაფერს მიაგნეს. დემონსტრაციამ ხალხზე დიდი გავლენა იქონია, ხმა გავარდა ,,ჯანყი'' დაიწყოვო.

განზრახული იყო აგრეთვე დემონსტრაცია მომხდარიყო სურამში, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არ მოხდა. რამდენიმე კრებები და მიტინგება მაინც გაიმართა და თბილისის კომიტეტის მოწოდება გავრცელდა. საზოგადოთ, ახალ სალდათებში დიდი უკმაყოფილებაა. ,,მივდივართ, მარა ვნახოთ, თუ რას გამოგვრჩებიანო'' იძახდენ.

წერილი რუსეთიდან.

ხარკოვი. მინისტრის გლაზოვის შეხვედრა. 1-ლ ნოემბერს მოვიდა აქ სახალხო განათლების მინისტრი გლაზოვი. უნივერსიტეტში მას პედელების და ცალიერ დარბაზის მეტი არავინ შეხვედრია. ჩვენ, სტუდენტებმა, გადავწყვიტეთ შესაფერისად შევხვედროდით თვითმპყრობელობის წარმომადგენელს,—გადავწყვიტეთ იმ დღესვე მოგვეხთინა დემონსტრაცია. 400-მდე კაცი შევიკრიბეთ უმთავრეს ქუჩაზე (სუმსკაია), თეატრის წინ. სტუდენტები იქნებოდა მხოლოდ 100-მდე, დანარჩენი მუშები და სხვა პროფესიის ხალხი იყო. გაიშალა წითელი დროშა და ,,დუბინუშკის'' სიმღერით გავიარეთ ქუჩაზე. უცებ თავს დაგვეცა ქვეითი და ცხენოსანი დარაჯები და ჩვენ იძულებული შევიქენით დავშლილიყავით. მაგრამ კიდევ უფრო მეტი ხალხი შეიკრიბა მეორე დიდ ქუჩაზე (მოსკოვის ქუჩაზე) ისევ ააფრიალეს რევოლიუციონური დროშა და გავემართეთ ქუჩაზე სიმღერით. გზაზედ ბევრი ხალხი შემოგვეერთდა; ამგვარათ, დიდ-ძალი ხალი მოგროვდა. ქუჩაზე მისვლა-მოსვლა შეწყდა: კონკა დადგა, ვინც-კი შეგვხვდებოდა ქუჩაზე—ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზდა—ყველას ვაჩერებდით. ამ გვარათ რევოლიუციონური სიმღერით გავიარეთ მთელი ქუჩა და ისევ უკან მოვბრუნდით. მაგრამ აქ... ჩემს დღეში, არ დამავიწყდება ის,რაც აქ მოხდა. დაგვესია 800 ცხენოსანი კაზაკი, და დაიწყო საზიზღარი სურათი... გამხეცებული კაზაკები შეიჭრენ ხალხში ხმალ-ამოღებულები, ჩეხდენ მარცხნივ და მარჯვნივ, სცემდენ მათრახებით; ისმოდა ქალების შემაძრწუნებელი კივილი;ბევრი იმათგანი თმით ათრიეს; ისმოდა გულ-გასახეთქი ყვირილი დაჭრილებისა და დაშავებულების, რომლებიც ველას თხოულობდენ... არ მეგონა, თუ იქიდან ცოცხალი გამოვიდოდი; ორჯელ დავეცი, მეგონა ცხენები გამჭყლეტდენ, მარა ისინი კაცზე უფრო შემბრალე აღმოჩნდენ; გამოვედი მხოლოდ მსუბუქად დაშავებული. ასე დასრულდა მეფის მხეცი მსახურების ,,საქმე საგმირო''!.. ქუჩაზე აღარავინ ჭაჭანებდა. დატყვევებულები ცოტა იყო, ისინიც მხოლოდ დაჭრილები და დაშავებულები, რომლებიც ძალ-გამოლეული მიწაზედ ეცემოდენ... გლაზოვიამ ამბის შემდეგ,მეორე დღესვე გაიპარა ხარკოვიდან.

კავშირის კომიტეტი.

ანგარიში ბრძოლის კასისა ბათუმის კომიტეტ. რ. ს.-დ. მ. პარტიისა.

თვე	შეადგ.	ბ ა ს ა ვ ა ლ ი.							
	1 იანვრისათვ. დარ. 1485 მ.55 კ.	ცენტრ. კომიტეტ.	კავშირის კომიტ.	ადგილობ. ხარჯი	წითელი ჯვარი	მებრძოლ. ორგანიზ.	პროფეს. მებრძოლ.	სულ ხარჯი.	დარჩა.
იანვარი	575—68	99 მ. 77 კ.	200 მ.	452—95	37 მ. 35 კ.	—	—	790 მ. 7 კ.	1271—60
თებერვ.	616—32	—	200 ,,	361—48	73 ,,	—	—	634—48	1253 მ.
მარტი	480—35	41 მ.	200 ,,	491—94	60 ,,	—	—	792—94	940—41
აპრილი	761—77	100 ,,	200 ,,	338—13	43—60	—	—	681—13	1020—45
მაისი	862—51	43 ,,	200 ,,	423—31	60 ,,	43 მ.	43 მ.	994—56	1407—06
ივნისი	1330—97	65 ,,	200 ,,	599—56	—	65 ,,	65 ,,	994—56	1407—06
ივლისი	1365—92	68 ,,	200 ,,	552—70	30 ,,	68 ,,	68 ,,	986—70	1786—28
აგვისტო	1390—35	60 ,,	200 ,,	567—59	—	60 ,,	60 ,,	947—59	2229—04
სულ	8869—42	476—77	1600 —	3787—66	303—95	236 მ.	236 მ.	6640—38	2229—04

ანგარიში წითელი ჯვრის გათუმის კომიტეტისა რ. ს.-დ. მ. პარტიისა.

თვე.	შემოსავალი.			გასავალი	დარჩა.
	ნომრებით.	ბრძოლის კას.	სულ.		
დეკემბერი და იან.	282 მ. 11 კ.	37 მ. 35 კ.	319 მ. 46 კ.	245 მ. 96 კ.	73 მ. 51 კ.
თებერვალი	64 ,, 30 ,,	73 ,,	137 ,, 30 ,,	133 ,, 52 ,,	77 ,, 29 ,,
მარტი	95 ,, 20 ,,	60 ,,	155 ,, 25 ,,	168 ,, 69 ,,	63 ,, 85 ,,
აპრილი	149 ,, 44 ,,	43 ,, 60 ,,	193 ,, 04 ,,	156 ,, 10 ,,	100 ,, 79 ,,
მაისი	210 ,, 85 ,,	60 ,,	270 ,, 85 ,,	149 ,, 75 ,,	221 ,, 89 ,,
ივნისი	762 ,, 99 ,,	—	762 ,, 99 ,,	761 ,, 40 ,,	223 ,, 48 ,,
ივლისი	180 ,, 25 ,,	30 ,,	210 ,, 25 ,,	200 ,, 80 ,,	232 ,, 93 ,,
აგვისტო	171 ,, 34 ,,	—	171 ,, 34 ,,	292 ,,	112 ,, 27 ,,
სულ	1916 ,, 48 ,,	303 ,, 95 ,,	2220 ,, 48 ,,	2108 ,, 21 ,,	112 ,, 27 ,,

საზოგადოებაში გავრცელებული ხმა, ვითომ X-ის სომხის სემინარიაში მასწავლებლათ ნამყოფი პროვოკატორია, ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ **მისაკ ჩოლუჭიანცი**, რომელიც „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლის № 10—11-ში ჯაშუშათ იყო გამოცხადებული, არ არის ჯაშუში.

სტამბა კავშირისა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბიბლიოთეკა

რ. ს. ს. დ. მ. მუშათა პარტია. ბათუმის კომიტეტი. კავკასიის საოლქო